სამშენებლო ფაკულტეტის

სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების დარგობრივი კომისიის

ოქმი №3

თარიღი: 25 მარტი 2024 წელი

**დღის წესრიგი:** „ სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ტექნოლოგიისა და საშენი მასალების დეპარტამენტის (№103") მიერ მოწოდებული 2023 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ ინფორმაციის განხილვა.

**სხდომას ესწრებოდნენ:** სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების დარგობრივი კომისიის წევრები, პროფესორები: ზურაბ გვიშიანი, გინა გურეშიძე, ტარიელ კვიციანი, თამაზ ხმელიძე, გივი გავარდაშვილი.

**მოისმინეს:** დარგობრივი კომისიის თავმჯდომარის პროფ. ზურაბ გვიშიანის ინფორმაცია "სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ტექნოლოგიისა და საშენი მასალების დეპარტამენტის (№103)" 2023 წლის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შესახებ.

**აზრი გამოთქვეს:** პროფესორებმა ტარიელ კვიციანმა, გინა გურეშიძემ.

**დაადგინეს:** სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის თითოეული კრიტერიუმის მიხედვით შეფასების შედეგების ფორმაში მოხდა ანალიზის და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციების დაწერა და შეფასების დაფიქსირება დადებითი ან უარყოფითი. გაიცა ძირითადი რეკომენდაციები, რომ სასურველი იქნება დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი იყოს უფრო მეტი აქტივობა, საჭიროა დეპარტამენტის თანამშრომლებმა მეტი აქტიურობა გამოიჩინონ სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობის კუთხით, გამონახონ თავიანთი ნაშრომების მიხედვით პატენტების მოძიების შესაძლებლობები. სასურველია დეპარტამენტის თანამშრომლებმა უფრო მეტი მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ფორუმებში.

საბოლოოდ მოხდა "სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ტექნოლოგიისა და საშენი მასალების დეპარტამენტის (№103)" შეფასების შედეგების ფორმის დამტკიცება.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე /ზ. გვიშიანი

დარგობრივი კომისიის მდივანი /გ. გურეშიძე/

სამშენებლო ფაკულტეტის 2023 წელს სამეცნიერო დარგობრივი
კომისიის შეფასების შედეგები

სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობის ტექნოლოგიისა და საშენი მასალების
დეპარტამენტი (№103)
დამტკიცებულია დარგობრივი კომისიის სხდომაზე ოქმი № 3 2024 წ.

| სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის კრიტერიუმები (კომპონენტები) | სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის შეფასება, რეკომენდაციები |
|---|---|
| პერსონალის მიერ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები | ანალიზი<br><br>რეკომენდაციები<br><br>შეფასება: უარყოფითი |
| შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტით დაფინანსებული სამეცნიერო კვლევითი პროექტები | ანალიზი<br><br>რეკომენდაციები<br><br>შეფასება: უარყოფითი |
| პატენტები | ანალიზი<br><br>რეკომენდაციები<br><br>შეფასება: უარყოფითი |
| ბეჭდური/ელექტრონული პროდუქციის გამოცემა<br>საქართველოში (მონოგრაფიები, წიგნები, სახელმძღვანელოები, კრებულები, სამეცნიერო სტატიები) | ანალიზი<br>დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილია შემდეგი ბეჭდური/ელექტრონული პროდუქცია.<br>საქართველოში:<br>მონოგრაფია- 2<br>სახელმძღვანელო- 2<br>სამეცნიერო სტატია-17<br>უცხოეთში:<br>მონოგრაფია-2<br>სამეცნიერო სტატია-2<br>დეპარტამენტის მიერ გამოცემული მონოგრაფია და სახელმძღვანელოები არის საჭირო და მნიშვნელოვანი შენაძენი, როგორც დარგის პროფესორ-მასწავლებ-ლებისათვის ასვე სტუდენტებისათვის. წარმოდგენილი სამეცნიერო სტატიებში განხილულ თემების უმეტესობა არის |

| | |
|---|---|
| | აქტუალური, ხოლო მიღებული შედეგები მნიშვნელოვანი პრაქტიკული ღირებულების მქონე. |
| | რეკომენდაციები<br>სასურველია მეტი სამეცნიერო სტატიები იყოს მომავალში გამოცემული მაღალი რეიტინგის მქონე უცხოვრი გამომცემლო-ბებში |
| | შეფასება: დადებითი |
| სამეცნიერო ფორუმებში მონაწილეობა (საქართველოში, უცხოეთში) | ანალიზი<br>დეპარტამენტის პროფესორ- მასწავლებ-ლებს მიღებული აქვს მონაწილეობა საქართველოში ჩატარებული 3 სამეცნიერო ფორუმში.<br>ყველა ეს სამეცნიერო ფორუმი არის აქტუალურ საკითხებისადმი მიძღვნილი. წარდგენილი თემები არის მნიშვნელოვანი და საინტერესო. |
| | რეკომენდაციები<br>სასურველია მომვალში დეპარტამენტის უფრო მეტმა თანამშრომელმა მიიღოს მონაწილეობა სამეცნიერო ფორუმებში. |
| | შეფასება: დადებითი |
| კვლევების შედეგების კომერციალიზაციის პოტენციალი | ანალიზი |
| | რეკომენდაციები |
| | შეფასება: უარყოფითი |
| საექსპერტო მოღვაწეობა | ანალიზი |
| | რეკომენდაციები |
| | შეფასება: უარყოფითი |

<table>
<tr><td rowspan="3">ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო მუშაობის ხელშეწყობა</td><td colspan="2">ანალიზი<br>დეპარტამენტის აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული ახალგაზრდა მეცნიერთა სამეცნიერო მუშაობის ხელშეწყობაში.აკადემიური პერსონალი მაგისტრებს, დოქტორანტებს უწევენ ხელმძღვანელობას  აქტუალურ სამეცნიერო თემატიკის დამუშავებაში. ახალგაზრდა მეცნიერები აქტიურად ჰყავთ ჩართული, რომ მიიღონ ერთობლივად მონაწილეობა სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებსა და სამეცნიერო ფონრუმებში.ში.</td></tr>
<tr><td colspan="2">რეკომენდაციები<br>მაღალი აკადემიური მოსწრების ბაკალა-ვრიატის სტუდენტებს ხელი შეუწყონ, რომ სისტემატურად მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო თემატიკის დამუშავებაში.</td></tr>
<tr><td>შეფასება</td><td>დადებითი</td></tr>
<tr><td rowspan="3">სამეცნიერო ნაშრომების და მკვლევართა სამეცნიერო პროდუქტიულობის მაჩვენებელი</td><td colspan="2">ანალიზი<br>დეპარტამენტის აკადემიურ პერსონალს გამოქვეყნებული აქვს რამდენიმე სამეცნიერო სტატია მაღალ რეიტინგულ-სამეცნიერო ჟურნალში, აგრეთვე მონოგრაფია უცხოეთში</td></tr>
<tr><td colspan="2">რეკომენდაციები<br>სასურველია დეპარტამენტის თანამშრომლებმა უფრო მეტი მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო ფორუმებში</td></tr>
<tr><td>შეფასება</td><td>დადებითი</td></tr>
</table>

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარე

დარგობრივი კომისიის მდივანი ____________